საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 08 ოქტომბერი, 2012 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 12

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტინგენტისა და პროგრამული დაფინანსების განსაზღვრის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ი) ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის „ე" პუნქტის, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მ/შ მ. ჯორბენაძის, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ. ჭიჭილეიშვილისა და მუსიკის ფაკულტეტის დეკანის ლ. ჭელიძის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სახვითი, სასცენო დაკინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს 82 (ოთხმოცდაორით)-ით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ფერწერა, არქიტექტურა, ტანსაცმლის დიზაინი - 35 ადგილი;
კინორეჟისურა - 5 ადგილი;
დრამისა და კინოს სამსახიობო - 12 ადგილი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ქორეოგრაფ-რეპეტიტორი (IV საფეხური) – 15 ადგილი;
ქორეოგრაფ-რეპეტიტორი (V საფეხური) – 10 ადგილი;
ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება (V საფეხური) – 5 ადგილი;

2. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს 55 (ორმოცდათხუთმეტ)-ით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ხელოვნებათმცოდნეობა -15 ადგილი;
კინომცოდნე -15 ადგილი;
კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი - 25 ადგილი.

3. მუსიკის ფაკულტეტზე (აკადემიური სიმღერა, ფორტეპიანო, აკადემიური დირიჟორობა, საორკესტრო (სიმებიანი, სასულე), კომპოზიცია მისღები კონტინგენტი განისაზღვროს - 15 ადგილი.

4. 2013-2014 სასწავლო წელს ბაკალავრიატში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის პროგრამული დაფინანსებისათვის გამოიყოს შემდეგი ადგილები:

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი - 9 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფერწერა, არქიტექტურა, ტანსაცმლის დიზაინი - 6 ადგილი;

კინორეჟისურა - 1 ადგილი;

დრამისა და კინოს სამსახიობო - 2 ადგილი;

მუსიკის ფაკულტეტი - 5 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკადემიური სიმღერა - 2 ადგილი;

ფორტეპიანო - 1 ადგილი;

აკადემიური დირიჟორობა - 1 ადგილი;

კომპოზიცია - 1 ადგილი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ქორეოგრაფ-რეპეტიტორი (IV საფეხური) – 3 ადგილი;

ქორეოგრაფ-რეპეტიტორი (V საფეხური) – 2 ადგილი;

5. საორკესტრო (სიმებიანი, სასულე) საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით ჩარიცხული ყველა სტუდენტისთვის გამოიყოს პროგრამული დაფინანსება.

6. მე-4 პუნქტით გამოყოფილ ადგილებზე პროგრამული დაფინასება განხორციელდეს ბაკალავრიატში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირველი კურსის სტუდენტებზე.

7. ცნობად იქნას მიღებული, რომ ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამებზე კონტინგენტის გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ფაკულტეტის საბჭო, რომელსაც ამტკიცებს დეკანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

9. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე **ერმილე მესხია**